საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

სამუშაო შეხვედრა

შეხვედრის ოქმი #2

ქ. თბილისი **03.07.2024**

2024 წლის 03 ივლისს, Zoom პლატფორმის გამოყენებით გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საკოორდინაციო საბჭოს მორიგი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საკოორდინაციო საბჭოს წევრები და ცენტრის წარმომადგენლები. შეხვედრა წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად (იხ. დანართი 1 - დანართი 2).

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლაშა მარგიშვილმა გახსნა. მან აღნიშნა, რომ სხდომის შემჭიდროებულ ვადებში ჩანიშვნა გამოწვეული იყო საქართველოს კანონმდებლობაში ცენტრის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ცვლილებების ასახვით, რომელიც ENQA-ს რეკომენდაციებში იყო წარმოდგენილი. საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა და დაამტკიცა ცვლილებები „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში.

მისი თქმით, ENQA-ს ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG-2015) 3.3 სტანდარტში (დამოუკიდებლობა) ცენტრი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. მსგავსი შეფასების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ გარკვეული პერიოდი, ცენტრის დირექტორი იკავებდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის პოზიციას. ასევე, ერთ-ერთი გარემოება, რომელსაც დაეფუძნება ENQA-ს შეფასება იყო ის, რომ ცენტრის დირექტორის შერჩევისა და გათავისუფლების პროცესებში არ იყო ჩართული ცენტრის საკოორდინაციო საბჭო. ამასთან, რეკომენდაციის მიხედვით განსაკუთრებით ნათელი და მკაფიო უნდა ყოფილიყო მექანიზმი, თუ რა შემთხვევაში შეიძლებოდა ცენტრის დირექტორის გათავისუფლება თანამდებობიდან.

შესაბამისად ENQA-ს რეკომენდაციებზე საპასუხოდ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც საქართველოს პარლამენტს წარედგინა, ცვლილებები სამივე მოსმენით იქნა მიღებული და საქართველოს პრეზიდენტმა მოაწერა ხელი კანონში ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნული ცვლილებების ცენტრის დებულებაში ასახვა, რაც ცენტრის საქმიანობაში გადმოიტანს ახალ ნორმებს და რეგულაციებს, რომელიც კიდევ უფრო გაზრდის ცენტრის დამოუკიდებლობის ხარისხს.

ლაშა მარგიშვილმა შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა ცვლილებების თაობაზე დეტალური პრეზენტაცია და აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, ცენტრი დაჩქარებული წესით ასახავს აღნიშნულ ცვლილებებს ცენტრის დებულებაში, სანამ ENQA-ს და EQAR-ის შესაბამისი კომიტეტები ცენტრთან დაკავშირებით მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

პირველი ცვლილება, რომელიც ხელს უწყობს ცენტრის უფრო მეტ დამოუკიდებლობას და ცენტრის დირექტორის პოზიციის ლეგიტიმაციის ზრდას არის ის, რომ თუკი აქამდე ცენტრის დირექტორს ირჩევდა და ნიშნავდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი, ცვლილების მიხედვით, ცენტრის დირექტორის დანიშვნა განხორციელდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის წარდგინების საფუძველზე. კანდიდატი კი შეირჩევა ღია, გამჭვირვალე, საჯარო კონკურსის საფუძველზე. ამასთან, ცენტრის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელი იქნება საქართველოს პრემიერ - მინისტრის მიერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის წარდგინებით.

შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილების მიხედვით, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრები უშუალო და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ცენტრის დირექტორის კანდიდატურის შერჩევისა და გათავისუფლების პროცესებში. დირექტორობის კანდიდატურის შესარჩევი კომისიის არანაკლებ 1/3 დაკომპლექტდება საკოორდინაციო საბჭოს წევრებით. ამასთან, საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმების გარეშე ვერ მოხდება ცენტრის დირექტორის გათავისუფლება.

კანონმდებლობაში ასევე ასახულ იქნა, რომ ცენტრის დირექტორი იმავდროულად ვერცერთ თანამდებობას, მათ შორის ვერც პოლიტიკურს, ვერ დაიკავებს ხელისუფლების, რომელიმე შტოში, მათ შორის ვერც აღმასრულებელში ორგანოში.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დეტალურად გაიწერა ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები, რომელიც შეიძლება იყოს: პირადი განცხადება, მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერი ძალაში შესვლა, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეუძლებელს ხდის მისი უფლებამოსილების განხორციელებას, დირექტორის უფლებამოსილების უხეში დარღვევა, ან/და ცენტრის საქმიანობისთვის არსებითი ზიანის მიყენება, გარდაცვალება.

ცენტრის საქმიანობის და განვითარების მიმართულებით მეტი მდგრადობისათვის განისაზღვრა ცენტრის დირექტორის დანიშვნის ვადა. მისი თანამდებობაზე არჩევა მოხდება 5 წლის ვადით. ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე გარკვეული ვადით ადრე დაიწყება დირექტორის შერჩევის პროცედურა.

ასევე გაიზარდა საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციონირების ვადა და ნაცვლად 2 წლისა, იქნება 4 წელი. ახალი დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს მინისტრის წარდგინებით დანიშნავს პრემიერ-მინისტრი.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ ENQA-ს ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, ცენტრს უფრო დეტალურად უნდა გაეწერა საკოორდინაციო საბჭოს წევრების შერჩევის პროცედურები. აღნიშნული პროცედურები დეტალურად არის გაწერილი აკრედიტაციისა და ავტორიზაციის საბჭოებთან მიმართებით და ცენტრი ამჟამად მუშაობს საკოორდინაციო საბჭოს წევრების შერჩევის პროცედურების დახვეწაზე, რომელზე დაფუძნებითაც მოხდება ახალი საკოორდინაციო საბჭოს ფორმირება.

ლაშა მარგიშვილმა პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, საკოორდინაციო საბჭოს წევრებს მიმართა და სთხოვა კითხვების დასმა და უკუკავშირის გაზიარება.

კითხვა - პასუხის სესიაზე, საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, ირმა ქურდაძემ იკითხა არსებული საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციონირების და ახალი საბჭოს შერჩევის ვადები როგორ იქნებოდა ცვლილებების შემდგომ. შესაბამისი კანონის მიხედვით, 2024 წლის 1 ნოემბრამდე უნდა შეირჩეს ახალი საკოორდინაციო საბჭო.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, შესაბამისად საბჭო აქტიურად იქნება ჩართული ცენტრის ახალი დირექტორის შერჩევის პროცესში. როგორც უკვე აღინიშნა, ლაშა მარგიშვილის მოსაზრებით, სამომავლოდ საბჭოს წევრები შესაძლოა აირჩნენ ნომინირების საფუძველზე. მისი თქმით, მიმდინარე წლის ნოემბრამდე გაიწერება ნომინირების პროცედურები. ნომინირება შეიძლება მოხდეს რექტორთა კონფერენციიდან, საერთაშორისო პარტნიორებიდან, სტუდენტთა ორგანიზაციიდან, დამსაქმებელთა ასოციაციიდან, პროფესიული სკოლების ასოციაციიდან, სამინისტროდან და გაიწეროს პროცედურა, თუ როგორ მოხდება საკოორდინაციო საბჭოს წევრების შერჩევა.

შემდეგი კითხვა დასვა ჰელი მატისენმა. მან მადლობა გადაუხადა ლაშა მარგიშვილს პრეზენტაციისთვის და დაინტერესდა, რატომ უნდა იყოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი მედიატორი შერჩევის კომისიასა და პრემიერ-მინისტრს შორის. გამომდინარე იქიდან, რომ კანონპროექტის მიხედვით, დირექტორობის კანდიდატურის შესარჩევი კომისიის არანაკლებ 1/3 კომპლექტდება საკოორდინაციო საბჭოს წევრებით, ჰელი მატისენს აინტერესებდა, თუ ვინ ადგენს შესარჩევი კომისიის წევრებს, რა წესის მიხედვით ხდება მათი შერჩევა და ვინ წყვეტს აღნიშნული შესარჩევი კომისიის წევრებიდან, ვინ უნდა გახდეს საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ მინისტრის როლი ანალოგიურად არის განსაზღვრული ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების შერჩევის პროცესში. მისი თქმით, ცენტრი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუმცა კანონის მიხედვით ანგარიშვალდებულების ნაწილში სამინისტროსა და მინისტრის მონაწილეობა აღნიშნულ პროცესში იქნებოდა მართებული. სამომავლოდ, თუკი მოხდება მთლიანად დისტანცირება განათლების სამინისტროს ერთიანი სისტემიდან, მაგ შემთხვევაში მინისტრის ჩართულობა აღარ იქნება საჭირო. რაც შეეხება მეორე კითხვას, საჯარო სამართლის იურიდიული პირების დირექტორების შერჩევის, კონკურსის ჩატარების და კომისიის შერჩევის პროცედურები არის განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ კანონით. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დირექტორის შერჩევის პროცედურას და წესებს, რაც დაავალდებულებს მინისტრს, რომელიც შექმნის კომისიას, რომ კომისიაში შეიყვანოს საკოორდინაციო საბჭოს წევრ(ებ)ი და თვითონ საკოორდინაციო საბჭო განსაზღვრავს, ვინ უნდა იყოს შერჩევის კომისიაში წარდგენილი. რაც გულისხმობს იმას, რომ როდესაც გამოცხადდება კონკურსი და სამინისტრო ცენტრს ოფიციალურად მიმართავს, ცენტრი საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან ერთად განიხილავს, კანდიდატებს, რომლებიც წარდგენილები უნდა იყვნენ შესარჩევ კომისიაში.

ჰელი მატისენმა აღნიშნა, რომ იგი ხედავს პოლიტიკური ჩართულობის საფრთხეს დირექტორის კომისიის შერჩევის პროცესში, შესაბამისად აინტერესებდა, ხომ არ განიხილება ახალი საკოორდინაციო საბჭოს ფორმირების პროცესში არსებული საბჭოს ჩართულობა, რომ თვითონ საბჭომ წარუდგინოს კანდიდატები მინისტრს, ან პრემიერ-მინისტრს, შესარჩევი კომისიის

მონაწილეობის გარეშე, რადგან მისი თქმით, რჩება კითხვები აღნიშნული შესარჩევი კომისიის 1/3 დაკომპლექტებასთან დაკავშირებით.

ლაშა მარგიშვილის თქმით ამ მიმართულებით მსჯელობა არ ყოფილა, თუმცა შესაძლებელია სამინისტროსთან კონსულტაციების გავლა. მან დაამატა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ კანონის მიხედით შესარჩევი კომისია უნდა შეიქმნას, თუმცა ცენტრს შეუძლია იმსჯელოს სამინისტროსთან ერთად, რომ აღნიშნულ შესარჩევ კომისიაში საკოორდინაციო საბჭო უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი.

ამასთან, საბჭოს წევრთა მიერ გამოითქვა მოსაზრება სამომავლოდ გაიზარდოს ცენტრის დირექტორის დანიშვნის კუთხით საკოორდინაციო საბჭოს ჩართულობა, რაც გამოიხატება პროექტით განსაზღვრული, საბჭოს წევრთა მიმართ დაწესებული კვოტის გაზრდით.

კაი ეტზოლდი დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებას, შესარჩევი კომისიის საქმიანობაში საკოორდინაციო საბჭოს როლის გაზრდის თაობაზე. ასევე მისი თქმით, ნომინირების პროცესი შესაძლებელია იყოს შრომატევადი და ხანგრძლივი, რადგან შეიძლება გამოიწვიოს ბევრი ბიუროკრატიული საქმე და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეტი სიფრთხილეა საჭიროა.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ნომინირების საკითხი ჯერ არ არის რეგულაციად მიღებული, უფრო მისი სუბიექტური მოსაზრებაა, თუმცა, აქ არც იგულისხმება, რომ ინდივიდუალურად, თითოეულ უნივერსიტეტს, ან სტუდენტს ექნება საშუალება წარმოადგინოს თავისი კანდიდატურა, საუბარია კავშირებზე, ასოციაციებზე, გაერთიანებებზე, რომელიც არსებობს ეროვნულ დონეზე.

ჰელი მატისენმა მხარი დაუჭირა და მოიწონა მსხვილი გაერთიანებებისა და ასოციაციების მიერ თავიანთი კანდიდატურების წამოყენების იდეას.

რუსუდან სანაძე შეეხო საკოორდინაციო საბჭოს წევრების შერჩევის პროცედურას, როგორ ხდება ნომინირება თვითონ ინსტიტუციების მიერ. მისი თქმით, მართალია, აღნიშნული ურთიერთშეთანხმების საგანია, მაგრამ არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ხდება ნომინირება. ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოს შემთხვევაში ცხადდება კონკურსი და გამომდინარე იქიდან, რომ საკოორდინაციო საბჭოს წევრების შერჩევის პროცესში კონკურსის ჩატარება არ იგულისმხება, რუსუდან სანაძის შემოთავაზებით ცხადი უნდა ყოფილიყო ინსტიტუციების მიერ თავიანთი კანდიდატების ნომინირების პირობები, რათა აღნიშნული პროცედურა იყოს მეტად გამჭვირვალე. მისი თქმით ENQA-ს ვიზიტის დროს ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა აღნიშნული საკითხის მიმართ ინტერესი.

ლაშა მარგიშვილი დაეთანხმა წარმოთქმულ მოსაზრებას და თქვა, რომ როდესაც ცენტრი მიმართავს ნებისმიერ ასოციაციას ან გაერთიანებას, წარუდგენს იმ კრიტერიუმებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნომინირებული პირი და ასევე წარუდგენს დამატებით თავის რეკომენდაციებს, დაუშვათ ერთი კანდიდატი იყოს კერძო სექტორის წარმომადგენელი, ან სტუდენტების შემთხვევაში იყოს მაგისტრანტი ან დოქტორანტი და ა.შ.

ჰელი მატისენმა დამატებით იკითხა, თუ არის შემუშავებული ახალი საკოორდინაციო საბჭოს წევრების შერჩევის წესი/პროცედურა, რაზედაც ლაშა მარგიშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული

მიმართულებით მუშაობა იგეგმება ივლისი-აგვისტოში და სექტემბრის პირველ რიცხვებში გაუზიარდებათ შესაბამისი დოკუმენტი.

კაი ეტზოლდი დაინტერესდა, თუ რის საფუძველზე შეირჩა ცენტრის დირექტორის და საკოორდინაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადები - 5 და 4 წელი.

ლაშა მარგიშვილმა განმარტა, ENQA-ს რეკომენდაციით საკოორდინაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადა 2 წელი, იყო მოკლე ვადა და ცენტრმა ჩათვალა, რომ 4 წლით უფლებამოსილების გაზრდა იქნებოდა გონივრული. ორივე შემთხვევაში აღნიშნული უკავშირდება მეტი სტაბილურობის შენარჩუნებას.

ჰელი მატისენი დაეთანხმა აღნიშნული ვადების გონივრულობას, რადგან ვადიდან გამომდინარე, საკოორდინაციო საბჭო აირჩევს შესაბამის დირექტორს.

საბჭოს თავჯდომარემ, რუსუდან სანაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი და განხილული საკითხი.

მომხრე 10

მოწინააღმდეგე 0

ლაშა მარგიშვილმა სხდომა დასრულებულად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ თანხმობა მიღებულია. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა ყველა დამსწრეს მადლობა შეკითხვებისთვის, რეკომენდაციებისთვის, რჩევებისთვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციებს მხედველობაში აუცილებლად მიიღებენ, გაითვალისწინებენ და დამატებით კონსულტაციებს გაივლიან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.

საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე:

რუსუდან სანაძე

R. Sanadze

საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მდივანი:

თათია უბერი

დანართი 1:

სახელი, გვარი	**პოზიცია**
რუსუდან სანაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი
კაი ეტზოლდი	უმაღლესი განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტი
ჰელი მატისენი	ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (HAKA) დირექტორი
თამარ თოლორაია	სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების სამმართველოს უფროსი
შალვა მეკრავიშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კურიკულუმის ექსპერტი, თბილისის 192-ე საჯარო სკოლის მოქალაქეობის მასწავლებელი
რუსუდან რუხაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
თათია უბერი	საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი
ირმა ქურდაძე	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ნათია ჯოჯუა	შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
მაია შუხოშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი

დანართი 2:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს ონლაინ სამუშაო შეხვედრა

Working Meeting of the Coordination Council of the LEPL - National Center for Educational Quality Enhancement

შეხვედრის ბმული/meeting link:

https://us02web.zoom.us/j/88235235864?pwd=CKvalPL6PKQWs7lnwD5ZXZYvLKU954.1
Meeting ID: 882 3523 5864
Passcode: 968369
15:00-16:00 საათი, 3 ივლისი, 2024 წელი
15:00-16:00 July 03, 2024

დღის წესრიგი / Agenda

დრო/Time	განსახილველი საკითხი / Discussion topic	მომხსენებელი/ Presenter	პოზიცია, ორგანიზაცია / Position, Organization
15:00 - 15:15	მისალმება Introduction	ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili კახაბერ ერაძე Kakhaber Eradze	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Acting Director, National Center for Educational Quality Enhancement დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement

15:15 – 15:45	ცენტრის დებულებაში დაგეგმილი ცვლილებების წარდგენა Introduction of the Amendments to the Statute of the Center	ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Acting Director, National Center for Educational Quality Enhancement
15:45 – 15:55	კითხვა-პასუხი/ Questions and Answers		
15:55 - 16:00	სამუშაო შეხვედრის შეჯამება / Wrap Up		